მავრამ ეს კიდევ არ არღვევდა მათ შორის კეთილ-განწყობილებას და ვერც დაარღვევდა, რადგანაც ორსავე პარტიას ფაქტიურად აერთიანებდა სახელმწიფო კანონები, რომელიც სასტიკად იცავდა მართლმადიდებლობის ინტერესებსა. ამ კანონების ძალით არავის, ვინც მართლმადიდებელ ოჯახში დაიბადა ან სხვა რჯულიდან მართლმადიდებლობაზე გადავიდა, უფლება არ ჰქონდა გადამდგარიყო ამ სარწმუნოებიდან (1890 წლ. გამოც. კან. კრებ., ტ. XIV, განყ. I, მუხ. 36), ყოველი მართლმადიდებელი ვალდებული იყო ერთხელ მაინც ზიარებულიყო წლის განმავლობაში (იქვე მუხ. 18), სხვა და სხვა უწყების უფროსებს თვალ-ყური უნდა სჭეროდათ, რომ ყოველ მათს ხელქვეითს მიუცილებლად აესრულებინა ეს ქრისტიანული მოვალეობა (მუხ. 20), ხოლო ურჩთათვის სასულიერო მთავრობას შეეძლო შესაფერი სასჯელი მოეხდევინებინა სათანადო სამოქალაქო თუ სამხედრო მთავრობის საშუალებით (მუხ. 22). ამავე სახით სავალდებულო იყო ქორწინება ეკკლესიურ წესით, რომელიც შეზღუდული იყო ათასგვარ წვრილმან და ფორმალურ მოთხოვნილებებით (იხ. კან. კრებ. ტ. X, ნაწ. I), თუმცა ამ მოთხოვნილებათა ასრულება სამღვდლოებისთვის არა ნაკლებ ძნელი იყო, ვიდრე მრევლისთვის, და უმეტეს შემთხვევაში უსიამოვნებას და განხეთქილებას აჩენდა მათ შორის. სახელმწიფო კანონმდებლობას უყურადღე-

ბოდ არ დარჩენია არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი მოვლენა მართლმადიდებლის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ ცხოვრებისა, უკანასკნელი მისი წუთიც — სიკვდილიც კი. აი, მაგალითად, რას ვკითხულობთ სახელმწიფო საბჭოს 1891—92 წ. დადგენილებაში: 1885 წ. გამოცემულ სასჯელთა დებულების 209 მუხლი შეესებულ იქმნას შემდეგნაირად: „ქრისტიანეთა ქრისტიანულ წესის აუსრულებლად დასაფლავებისთვის იმ შემთხვევაში, როცა დასამარხავად სათანადო სარწმუნოების სასულიერო პირის მოწვევა შეიძლება და განსაკუთრებით ძნელი არ იყო, დამნაშავენი დაისჯებიან სამი კვირიდან სამ თვემდე დაპატიმრებით“.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ვერავინ, ვინც მართლმადიდებლებში ირიცხებოდა, გვერდს ვერ აუხვევდა ეკლესიას და სამღვდელოებას, რის გამოც იმ მცირედს უთანხმოებას, რომელიც სამღვდელოების და საზოგადოების ნაწილის შორის არსებობდა, დიდი ფაქტიური მნიშვნელობა არასოდეს არ ჰქონია. ურთიერთს დამოკიდებულებას, რომელიც ამ უთანხმოებაში წარმოშობა, ყველამ ისე შეაჩვია გრძნობა და გონება, რომ უმეტესობას ვერც კი წარმოედგინა სხვანაირი დამოკიდებულება მრევლის და სამღვდელოების შორის. ვინც პირად და საკმაოდ იცის საეკლესიო საკითხის საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მდგომარეობა, ის სავსებით დამეთანხმება, რომ თუ ამ საკითხის განვითარებაში და გარდაწყვეტაში იმოქმედებდა მარტოდ-მარტო სარწმუნოებრივ-ზნეობრივი, ყველაფერ დანარჩენიდან დამოუკიდებელი ფაქტორი, იმ შემთხვევაში საქმის ბოლო ორში აუცილებლად ერთი იქნებოდა: ან როცა სამღვდელოებას ახალი ძალები შეემატებოდა და მრევლიც უფრო თავისუფლად დაადგებოდა თვითგამორკვევის გზას, ზემოხსენებული უთანხმოება თავისთავად და უმსხვერპლოდ მოისპობოდა და სამღვდელოების ზ მრევლის შორის კვლავ დამყარდებოდა ნამდვილი ქრისტიანული, მამა-პაპური ურთიერთობა, ზ ან კიდევ დიდ ხანს, შეიძლება მთელ საუკუნესაც-კი გასტანდა უკანასკნელ დროინდელი მდგომარეობა ეკლესიისა, ყოველ შემთხვევაში მხოლოდ შორეულ მომავალში მიიღებდა იგი იმ მრისხანე სახეს, რომელიც დღეს უკვე მიიღო.

უკანასკნელ ორის წლის სინამდვილემ კი სულ სხვა გვიჩვენა. ხალხი ერთბაშად აზღვავდა, უნდობლობა გამოუცხადა ეკლესიის დღევანდელ წეს-წყობილებას და თითქმის ერთ ხმით დაიგრიალა: არ გვინდა ბიუროკრატიული სამღვდელოება და მისი ეკლესიაო, სამღვდელოება და ეკლესია იმან შეინახოს, ვისაც სურს. ეკლესიების და მონასტრების ცარცვა, სარწმუნოებრივ სიწმიდეთა შეურაცხყოფა და სამღვდელოების დევნა—აი ფაქტიურად რაში გამოიხატა ახალი მოვლენა ჩვენის ცხოვრებისა; ხოლო პრინციპიალური მისი მოთხოვნილება იყო თავისუფლება სინდისისა და თავისუფალი, პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი, განახლებული ეკლესია. დადგა

17 ოქტომბერი, უმაღლესად გამოცხადებულ იქმნა სხვათა შორის სინდიკატის თავისუფლება, რომლის პირველ სხივებმა ჯერ კიდევ 17 აპრილს ამოაშუქა, და მართლმადიდებელი ეკლესია იძულებული გახდა პირდაპირ ანგარიში გაუწიოს უფრო რთულ, უფრო ძლიერ მოვლენას. საზოგადოებამ ან, უკეთ რომ ვთქვათ, საზოგადოების მშრომელ ნაწილმა ზოგიერთ შემთხვევაში აშკარად ზურგი შეაქცია ეკლესიას და სამღვდლოებს. ამისი უტყუარი და თვალსაჩინო საბუთია, ქალ. ტფილისში ზოგიერთ მუშათა მეთაურთა დასაფლავება, როცა „წმიდაო ღმერთოს“ ნაცვლად „მარსელიოზა“ გაისმოდა ტფილისის ქუჩებში და ჯვარცმის მაგივრად სოციალ-დემოკრატიული ბაირალი მიუძღვოდა წინ კუბოს.

დიდი შეცდომა იქნება, თუ იტყვის ვინმე, რომ ეს მოხდა და აღარ განმეორდება. პირიქით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. თუ წარსულ წლის 17 აპრილს და 17 ოქტომბრის მანიფესტების პრინციპები მტკიცედ იქმნა გატარებული კანონმდებლობის გზით, დღევანდელი თაობა ბევრ ისეთ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მოვლენათა მოწმე გახდება, რაზედაც მას წარმოდგენაც არ ჰქონდა. ამას გვასწავლის ისტორიული მაგალითები, ამავე სურათს ეკლესიის მომავლისას გვიხატავს თვალწინ დღევანდელი მისი მდგომარეობა.

მიზეზი საეკლესიო საკითხის ამ ახალ მდგომარეობისა მეტად რთული და სადავაოა. ზოგიერთთა ჰაზრით, ამ საკითხის გამწვავება მხოლოდ პროპაგანდის ბრალია. ასეთი ახსნა, რასაკვირველია, სრულებით საკმარისი არ არის, მაგრამ არც გასაკვირველია. ჩვენ ისეთს დროს ვცხოვრობთ, როცა ყველაფერს, რაც კი მოხდება, რეაქცია შინაურ მტრების მოუსვენრობას — „კრამოლას“ აბრალებს, ხოლო რევოლიუცია კი „პროვოკაციას“. მაგრამ ვინც უფრო დაკვირვებით, დამოუკიდებლად და პარტიულ ინტერესების გარეშე შეხედავს საქმეს, იმისთვის ცხადია, რომ ამა თუ იმ მოვლენათა მიზეზი უფრო ღრმაა, ვიდრე „კრამოლა“ და „პროვოკაცია“, და არც ერთს, არც მეორეს გასავალი არა აქვს იქ, სადაც მათთვის სხვა გზით არ არის მომზადებული ნიადაგი. ეკლესიის და სამღვდლოების წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდამ, რასაკვირველია, დააჩქარა საეკლესიო საკითხის გამწვავება, მაგრამ მხოლოდ დააჩქარა, გამოარკვია და თვითონ კი სრულებით არ არის ძირითადი მიზეზი ამ გამწვავებისა.

მეორე, მოპირდაპირე განმარტება ის არის, რომ საზოგადოება სარწმუნოებრივ-ზნეობრივად გაიზარდა, მომწიფდა და აღარ ეტევა იმ კალაპოტში, რომელშიაც მას ათავსებს დღევანდელი ეკლესია. დიადი ქეშმარიტებაა, რომ „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. ჩვენის ეკლესიის დღევანდელი მდგომარეობაც შეილია ამავე ეკლესიის წარსულისა, მაგრამ... დღე-ნაკლები და უჯერო. ეკლესიის თანამედროვე საქმეთა

ვითარება თანდათანობით, სისტემატიურად არ გამომდინარეობს მის წარსულიდან, როგორც აუცილებელი შედეგი უკანასკნელისა. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, ვეებერთელა ისტორიული და პსიხოლოგიური ნახტომია სარწმუნოების და ზნეობის განვითარების ისტორიაში და იმდენად საშიში, რამდენად საშიშია ქორთა, ძუძუ-მწოვარა ბავშვისთვის მაგარი საქმელი.

საზოგადოების ნაწილმა, მართალია, ზურგი მიუშვია ეკკლესიას და სამღვდლოებას, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მომწიფდა იგი და იმაზედ მაღლა დადგა, რასაც ღღევანდელი ეკკლესია და სამღვდლოება ასწავლის. არა და არა! ხალხი მომწიფდა გონებრივად, პოლიტიკურად, სოციალურად, მაგრამ სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განვითარებით იგი არაფრით გასცილებია წარსულ თაობას. შეიძლება იმიტომაც კი მოხდა ესა, რომ სარწმუნოებრივი და ზნეობრივი პროგრესი უფრო გვიანია და უფრო ნელი ნაბიჯით მიდის წინა, ვიდრე სხვა რომელიმე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საზოგადოების ღღევანდელი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი განვითარება გაცილებით უფრო დაბლა სდგას, ვიდრე ეს გონიათ იმათ, ვინც საეკკლესიო საკითხის გამწვავებას საზოგადოების განვითარებით ხსნიან.

ავილოთ, მაგალითად, შედარებით განვითარებული მხარე საქართველოში—გურია. აი რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ მხარემ ცნობილ პროფესორს მარბზე, რომელმაც ადგილობრივ შეისწავლა გურიის უკანასკნელი მოძრაობა «განსაკუთრებით საგრძნობელია—ამბობს მარბი გურიის შესახებ—ნაკლულოვანება სულიერ და ზნეობრივ საკითხების განვითარებისა. ადგილობრივი მოღვაწეები იმ გულ-უბრყვილო რწმენისა არიან, რომ მატერიალურ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას პოლიტიკურ უფლებათა მოპოვებასთან ერთად შეუძლიან თავისთავად განამტკიცოს ხალხის ზნეობა, რომ აღამიანში მატერიალურ ანგარიშების დამოუკიდებლად არ არსებობს არავითარი სულიერი და ზნეობრივი მოთხოვნილება. მათი რწმენით, არსებულ ეკონომიურ პირობების გარეშე არ არის არავითარი საზოგადოებრივი პსიხოლოგია და ხალხის ყოველნაირი პსიხიური მისწრაფება მხოლოდ მატერიალურ ყოფა-ცხოვრებაზეა დამოკიდებული. გურულების გულ-ზრნობა ერთგულ საკითხების და ეკკლესიისადმი, ერთგულ ეკკლესიისადმი, ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც ღვეს ეკკლესიის სწორედ ამ ვიწრო მატერიალისტურ შესჯდულობით აიხსნება და სრულებით იმით კი არა, რომ ვითომ გურულები დღეს ერთგულ თვით-შემეცნებადნ უკვე რეაღურად და სამუდამოდ გადავიდნენ კაცობრიობის საერთო იდეალების უსამზღვრო სიფრცქვამი და ან ვითომ გასცილდნენ ქრისტიანობის იდეალებს (კურსივი ჩვენია). დღესაც გურული იმ წარმართულ მდგომარეობაშია, რომელშიაც წინეთ იყო და რომელიც გაძლიერდა საქართველოს ეკკლესიის უკანასკნელ ას წლის განმავლობაში არევე-დარევის ო განხეთქილების დროს. აქ პოლიტიკურ მოძღვრების ბოლონდელ სიტყვასთან ერთად შეგხვდებით

ცრუ-მორწმუნობათა მშვენიერი თაიგული. ჩემ თვალ წინ მამა იქერდა თიკანს, რომ გადაერჩინა მომაკვდავი შვილი: სწამთ, რომ საკმარისია თიკანი თავზედ შემოავლონ ავათმყოფს, და სენი განდევნილ იქნება (იხ. გაზეთი „რაზვესტი“ 1905 წლისა, № 170).

განმარტება მეტი იქნება. პატივცემულ პროფესორის სიტყვებს ისლანდა დაეუმატოთ, რომ რაც ამ მხრით გურულებზეა ნათქვამი, სავსებით შეეხება მთელ საქართველოს და მთელ სახელმწიფოსაც კი. ხალხმა დაგმო არსებული ეკკლესია და სამღვდლოება, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ თვითონ ვითომ მომწიფდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივად, არამედ სულ სხვა მიზეზით. არავისთვის საიდუმლო არ არის ის ურთიერთი დამოკიდებულობა, რომელიც აწესებობდა ეკკლესიის და სახელმწიფოს შორის. სახელმწიფო ინახავდა ეკკლესიას, იცავდა მის ინტერესებს და აძლევდა მას სხვა და სხვა პრივილეგიებს, — სამაგიეროდ ეკკლესია ეხმარებოდა სახელმწიფოს ამა თუ იმ საზოგადო მიზნების მიღწევაში, სხვა და სხვა სოციალურ თუ სამოქალაქო იდეების გატარებაში: ეკკლესიის და სახელმწიფოს ამ ურთიერთ შორისდამოკიდებულობის მეოხებით პირველმა დაკარგა დამოუკიდებელ ერთეულის მნიშვნელობა და თითქოს სახელმწიფოს ნაწილი გახდა. ხოლო, როგორც ვიცით, ხალხმა დღეს პროტესტი გამოუცხადა თანამედროვე წესწყობილებას და სრულებით საკვირველი არ არის, რომ ეს პროტესტი შეეხებოდეს ეკკლესიასაც, როგორც ძველ რეჟიმის ერთგულ მომხრეს მის ტრადიციების მატარებელს. ჩვენ არას ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად სამართლიანია ეს მოვლენა, მხოლოდ ვამტკიცებთ თვით მოვლენას და ვიმეორებთ, რომ ამ დროინდელი საეკკლესიო საკითხის გამწვავება მხოლოდ ერთი ტალღაა იმ მღელვარებისა, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა, აუცილებელი შედეგია თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობისა, მასთან ერთად დაიბადა და მასთან ერთად გარდაწყდება. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველად ხალხის იმ ნაწილმა აუხვია გზა ეკკლესიას და სამღვდლოებას, რომელსაც უფრო სწყუროდა რეჟიმის განახლება, ე. ი. მშრომელმა ხალხმა, რომელიც ეკკლესიაში მფარველს ღ დამცველს ვერ ჰპოებდა.

მახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში შემდეგი სცენა იყო მოყვანილი. დავალიანებულ გლეხს კალოზედ მოასწორეს ხარჯის ამკრეფმა და სხვა და სხვა ჯურის მოვალეებმა. გლეხს თავისთვისაც არ ჰქონდა საკმაო პური და აბა სხვისთვის რა უნდა მიეცა?!. ის სასოწარკვეთილებით იყურებოდა აქეთ-იქით, არ იცოდა, რა ექნა და რითი მოემორებინა მოვალეები. შეამჩნია, რომ მღვდელი მოდის. გლეხს გაეხარდა, მღვდელი რასმეს მასწავლის, დამიჯარავს, ნუგეშს მომცემსო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მღვდელსაც თურმე ტომარა მოჰქონდა კოდის პურის ასაღებად.

უბრალო, მაგრამ მრავალ-მნიშვნელოვანი სურათია. თუ მღვდელი კლდის პურს აიღებდა, ამით იგი თითქმის უკანასკნელ ლუკმას წაგლეჯდა გაქირვებულსა; არ აიღებდა, და მისი ცოლ-შვილი უნდა დარჩენილიყო მშვიერი.

ცხოვრების შემავიწროებელ პირობებით დაბეჩავებული ხალხი გამწარდა, გამხეცდა. დღეს იგი ისეთ სულიერ მდგომარეობაშია, რომელსაც პსიხიატრები ანგარიშ-მოუთხოვნელ მდგომარეობას (состояніе невмѣняемости) უძახიან. „ნუ ითხოვთ ადამიანებისაგან იმას, რაც თქვენ მათთვის არ მიგიციათ,—გვეუბნება დღეს მშრომელი ხალხი მ. გორკის პირით.—თქვენ არ გაქვთ ნება შებრალება ითხოვოთ, რადგანაც იგი უცნობი ხილია თქვენთვის... რასაკვირველია, გულწრფელი ხართ, როცა თქვენს მოყვასთ ურჩევთ შეგიყვარონ თქვენ. მაგრამ ამ თქვენს სიტყვებს უკან ნამდვილი შემდეგი სიტყვები ამოჰფარებია: ითმინეთ, ნუ აღელდებით, უსიტყვოდ ზიდეთ მძიმე ლოდი შრომისა, დამცირებისა, სიღარიბისა, უსიტყვოდ სწიეთ უღელი, რომელშიც ჩვენ შეგებით“ („აღსარება“ მ. გორკისა \*). ამ მდგომარეობაში ხალხმა დაჰკარგა რწმენა თვით უმაღლეს სიყვარულის მქადაგებელ სახარებისადმი. „სახარება?—დაცინვის და ეჭვის კილოთი გვეკითხება ხალხი იმავე გორკის პირით:—სადღა სახარება? მისი ფურცლები დიდი ხანია გათითხნილია მოძალადეთა ტალახიანის ხელებით, მისი სიმაართე აღგვილია ორგულების მიერ“ („აღსარება“). მაგრამ ვინ მიაკარა „მოძალადენი ღ ორგულნი“ სახარებას? ხალხის აზრით, რასაკვირველია იმან, ვისაც სახარების შენახვა და მოვლა ჰქონდა მინდობილი,—სამღვდელოებამ, და ამიტომ ხალხმა, როცა ეს შესაძლოდ დაინახა, ზურგი შეაქცია სამღვდელოებს. მაგრამ ამ შემთხვევაში დაავიწყდა ხალხს ის უკვდავი ჭეშმარიტება, რომ ისტორია წარმოშობს გმირსა და არა გმირი ჰქმნის ისტორიას. სამღვდელოება ისეთ პირობებში იყო, როცა მას არც კი შეეძლო სხვანაირი ყოფილიყო და თუ მას ეკლესიის დღევანდელ მდგომარეობაში რაიმე მიზეზი მიუძღვის, მხოლოდ უნებლიეთი და ჭამთა ვითარებით იძულებული. შეიცვლება ცხოვრების პირობები და მასთან ერთად შეიცვლება სამღვდელოების სამოქმედო ტაქტიკაც. სამღვდელოება პირველი სცდილობს, რომ ძირითად შეიცვალოს ის პირობები, რომელშიაც იგი დღემდინ იმყოფებოდა, თუმცა ეს ცვლილება პირადად მისთვის საზარალოც იყოს. მას მთელის არსებით სწადიან ემსახუროს ხალხის პირდაპირ და საუკეთესო ინტერესებს, მაგრამ ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მისი მოქმედება არავითარ ხელოვნურ დაბრკოლებით არ იყოს შეზღუდული, რომ იგი თვითონ თავისუფალი იყოს. ამიტომ დარწმუნებული ვიყავთ, რომ 17 ოქტომბერს გამოცხადებული თავისუფლება უფრო კი არ გაამწვავებს ეკლესიას და სამღვდელოების

\*) ქართულად თარგმანი იხ. „ცნ. ფურცლის“ სურათ. დამატება, № 368.

მდგომარეობას, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ,—პირიქით, 17 ოქტომბერი უტყუარი წინდია იმისი, რომ საეკლესიო საკითხი მახლობელ მომავალში სასურველად გარდაწყდება. ამ ღირს-შესანიშნავ დღემ მხოლოდ აღმოაჩინა საზოგადოების სარწმუნოებრივ-ზნობრივ ცხოვრების ნამდვილი სატკივარი და თითქოს უფრო გაამწვავა იგი, მაგრამ ამითვე სრული შეძლება მისცა სამღვდელთაგანს გამონახოს ამ სატკივარის უებარი წამალი. იმედია, რომ სამღვდელთაგანს ყოველ მხრით ისარგებლებს იმ გაკვეთილით, რომელიც მას მიცა სასტიკმა მასწავლებელმა—ცხოვრებამ.

მიუდგომელი.

## საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი. \*)

### I.

#### ძირითადი პრინციპები.

§ 1. განმარტება საქართველოს ეკლესიისა. საქართველოს ეკლესია არის მორწმუნე ქართველებისაგან შემდგარი და „ერთის, წმიდის, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის“ პრინციპებზე დამყარებული სარწმუნოებრივი საზოგადოება, რომელშიაც და რომლის საშუალებითაც ხორციელდება ამ ქვეყნად „ღვთის სასუფეველის“ დედა-აზრი.

§ 2. მისა მაზნა. ამ საზოგადოების მიზანს შეადგენს მისი წევრების სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მათი ზნობრივი სრულ-ყოფა ქრისტეს მცნების თანახმად: „იყავით სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს“.

§ 3. სხვა ავტოკეფალურ ეკლესიაებთან ურთიერთობა. როგორც ისტორიულად, ისე კანონიურად საქართველოს ეკლესიას აქვს სრული უფლება სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლად იარსებოს; ამას მედგრად მოითხოვს თანამედროვე ცხოვრებაც. სხვა ეკლესიათაგან დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა მდგომარეობს: ა) მისი იერარქიის სხვა ეკლესიათა იერარქიისაგან

\*) ეს პროექტი შედგენილია წარსულ 1905 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელთაგანის დელეგატთა კრების მიერ ქ. თბილისში. ეს პროექტი წრევანდელი „მწყემსის“ პირველ ნომერშიაც (№№ 1-2) დაიბეჭდა, მაგრამ, რამოდენსამე ალბას შეცდომებით. აქ ვებეჭადეთ პროექტს ნამდვილ ოქმებთან შედარებით.

დამოუკიდებლობაში; ბ) ადგილობრივ კანონმდებლობისა და სამართლის უფლებებში და გ) ადგილობრივთა საეკლესიო ჩვეულებათა და სამღვდლო-წესთა სხვაობაში.

§ 4. ეკლესიის ურთიერთობა სახელმწიფოსთან. როგორც ზნობრივ-სარწმუნოებრივის მიზნით არსებული საზოგადოება, საქართველოს ეკლესია შეეხება თავის წევრებს მარტო ზნობრივ პრინციპის მხრივ და მიზნად არა აქვს შეეხოს მათ, როგორც წევრებს სახელმწიფოსას ან რომლისამე პოლიტიკურ ორგანიზაციისას. მსგავსათვე არც სახელმწიფოს აქვს უფლება ამ საზოგადოების შინაგან წეს-წყობილებასა და ცხოვრებაში ჩაერიოს, რადგან, როგორც ითქვა, ეს საზოგადოება არავითარს პოლიტიკურსა და ეკონომიურს მიზანს არ ესწრაფვს. სახელმწიფო, როგორც ყველგან, ისე ამ შემთხვევაშიაც ვალდებულია მხოლოდ უზრუნველ-ჰყოს ამ საზოგადოების წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება (17 ოქტომბრის მანიფესტით აღსარებული) და მის დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან. -რომ საქართველოს ეკლესიამ სამუდამოთ აიცილოს თავიდან ეჭვი ან ბრალდება ეგრეთ წოდებულს „კლერიკალი ზმში“ და თანაც სავსებით განახორციელოს თავის წევრთა სინიღისის თავისუფლება, აუცილებლათ საქირაა—განთავისუფლდეს არა მარტო ეკლესია სახელმწიფოსაგან, არამედ სახელმწიფოც—ეკლესიისაგან: არც სახელმწიფო უნდა ერეოდეს ეკლესიის საქმეებში და არც ეკლესია—სახელმწიფოს საქმეებში.

ამ ძირითად პრინციპების თანახმით უნდა მოეწყოს მთელი შინაგანი ცხოვრება და გარეგანი მდგომარეობა საქართველოს ეკლესიისა.

## II

### საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილება.

#### ა.

#### ტერიტორია და მისი დაყოფა.

§ 5. საქართველოს ეკლესიის ტერიტორიის შეადგენს ქართველის ტომით დასახლებული ადგილები ეხლანდელის თფილისის და ქუთაისის გუბერნიებისა, ზაქათალისა, სოხუმისა, ბათუმისა და ყარსის ოლქთა საზღვრებში.

**შენიშვნა:** საკუთარს სურვილით შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას ეკუთვნოდნ ამ ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველები და, აგრეთვე, არა-ქართველებიც, როგორც ამავე ტერიტორიის საზღვრებში, ისე მათ გარეშეც.

§ 6. მთელი ეს ტერიტორია დანაწილებულია ოთხ ეპარქიად: ა) კახეთ-ზაქათალისა, ბ) ქართლისა (სამცხე-საათაბაგოათურთ), გ) იმერეთ-გურია-

სვანეთისა (ამავე ეპარქიაში შედის ბათუმის ოლქიც) და დ) სამეგრელო-სამურზაყანოისა. თვითეული ეპარქია განიყოფება სამმო ოლქებად, ხოლო ეს უკანასკნელნი — სამრევლოებად.

ბ.

### სამღვდელოება და მორწმუნენი.

§ 7. საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებას შეადგენენ: ა) სრულიად საქართველოს კათალიკოს-მამათ-მთავარი, რომელიც იმავე დროს არის მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა; ბ) სამი ეპისკოპოსი; გ) მღვდლები; დ) დიაკვნები (=მთავრები) და ე) მედავითნეები.

§ 8 ეკლესიის უუდიდესს ნაწილს შეადგენენ მორწმუნენი. მორწმუნენდ ანუ ეკლესიის წევრად ითვლება ყოველი კაცი და ქალი, რომელსაც ნათელუღია, აღიარებს მართლ-მადიდებლობითს სწავლას და ემორჩილება საეკლესიო წყობილებას. როგორც ეკლესიის წევრად გახდომა, ისე მასში დარჩენა ანუ გასვლა დამოკიდებულია თვით მორწმუნის სინიდისა და სურვილზე; ხოლო რამდენადაც საქმე ბავშვებს შეეხება, იმათი ეკლესიის წევრებად დატოვება თუ იქიდან გაყვანა მათი მშობლებისა და მზრუნველების სინიდისის საქმეა.

ბ.

### მართვა-გამკეობის ორგანიზება.

§ 9. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა დამყარებულია კრებითს პრინციპზე. მიეღს საქართველოს ეკლესიას თავში უღვას: ა) სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება და ბ) საკათალიკოსო საბჭო კათალიკოსის თავმჯდომარეობით; ეპარქიას მოთავეობს: ა) საეპარქიო კრება და ბ) საეპარქიო საბჭო ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით; სამმო ოლქს განაგებს: ა) საოლქო კრება და ბ) საოლქო საბჭო; ხოლო სამრევლოს მართავს: ა) სამრევლო კრება და ბ) სამრევლო საბჭო ადგილობრივ მღვდლის დახმარებითა და ხელმძღვანელობით.

1.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, საქათალიკოსო საბჭო და კათალიკოსი.

§ 10. სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. ეს კრება შესდგება 120 წევრისაგან, რომელთა შორის 40 სამღვდლოების წარმომადგენელია (ცხრა-ცხრა ეპარქიებიდან და 4 ქალაქ თბილისიდან), ხოლო 80 მორწმუნეთა დელეგატი (თვრამეტი-თვრამეტი ეპარქიებიდან და 8 ქალ. თბილისიდან).

ამათ გარდა კრების მუდმივ წევრებად ითვლებიან ყველა ქართველი ეპისკოპოსები. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო, როცა იგი არაა, ერთ-ერთი მღვდელმთავარი კრებისავე არჩევით. კრება ირჩევს საქმის—წარმოებელსაც.—ამ კრებ ს კომპეტენციას ექვემდებარება: ა) საეკლესიო კანონმდებლობა, ბ) საეკლესიო სამართალი, გ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების გარჩევა და გადაწყვეტა, დ) პირველის კათალიკოსისა და პირველი საკათალიკოსო საბჭოს წევრების არჩევა. კრება არის ჩვეულებრივი—სამს წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი, როცა საქიროება მოითხოვს. კრება კანონიერია, თუ მასზე ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  მინც გამოცხადდება; თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორეთ მოწვეული კრება კანონიერია, უკეთუ დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -სა.

§ 11. საკათალიკოსო საბჭო. საკათალიკოსო საბჭო შესდგება 8 წევრისაგან, რომელთა შორის 4 სამღვდლოების წარმომადგენელია და 4 მორწმუნეებისა (თითო—ეპ რქიიდან), არჩეულნი 3 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო, როცა იგი არ არის, ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ამ შემთხვევისათვის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნება წინდაწინვე არჩეული. საბჭოს ჰყავს საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, რომელთაც იწვევს თვითონ საბჭო 3 წლის ვადით.—ამ ორგანოს კომპეტენციას ექვემდებარება: ყოველგვარი საქმეები სრულიად საქართველოს ეკლესიის შესახებ—საკუთრივ საეკლესიო, სასულიერო-სამოსწავლო და სამეურნეო, რომელთაც მას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება დააკისრებს.

§ 12. კათალიკოსი. კათალიკოსი არის მხოლოდ „პირველი თანასწორ ეპისკოპოსთა შორის“ (მოციქულთა კანონი—34) და მარტოოდენ შემდეგს საქმეებში ეკუთვნის მას სხვა ეპისკოპოსთაგან განსხვავებული უფლებანი: ა) იგი თავმჯდომარეობს საკათალიკოსო საბჭოსა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, ბ) უფლება აქვს მწყემსთ-მთავრულად მიმოიხილოს ყველა ეპარქიები, გ) მისს სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს მასზე დამოკიდებული ეპისკოპოსები; საკათალიკოსო საბჭოსთან ერთათ მას ეკუთვნის: აა) მზრუნველობა უეპისკოპოსოდ დარჩენილს ეპარქიებზე, ბბ) მიღება საჩივრისა ეპისკოპოსთა და საეკლესიო დაწესებულებათა შესახებ და გამოძიების დანიშვნა; გგ) უმაღლესი ხელმძღვანელობა და ზედა-მხედველობა ყველა საეკლესიო საქმეებისა მასზე დამოკიდებულს ეპარქიებში; დდ) მიცემა დათხოვნითი სიგელებისა იმ ეპისკოპოსთათვის, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან საღმე მიდიან; ეე) დასასრულ, იგი ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიტატების არჩევნებს საეპარქიო კრებაზე; ხოლო სხვა ეპისკოპოსებთან ერთათ ხელდასხამს არჩეულ კანდიტატს. მაგრამ დაწყება ისეთის საქმისა, რომელიც მთელს საქართველოს ეკლესიას შეეხება, კათალიკოსს შეუ-

ძლია მხოლოდ ყველა დანარჩენ ეპისკოპოსებისა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანხმობით, — და როგორც სხვა ეპისკოპოსები, იგიც ამავე კრების სამართალს ემორჩილება.

§ 13 კათაგორიის ანჩეგა და კურთხევა. კათალოკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდლოებისა — რიცხვით 30 (რომელთაგანაც 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარ ეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან) და მორწმუნეთა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალ. თბილისიდან). როცა კათალიკოსის არჩევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და, დამტკიცებისა და კურთხევის შემდეგ, აცნობებს ყველა ავტოკეფალურს ეკლესიებს.

## 2.

საეპარქიო კრება, საეპარქიო საბჭო და ეპისკოპოსი.

§ 14. საეპარქიო კრება. საეპარქიო კრება შესდგება 90-ის წევრისაგან, რომელთა შორის 30 სამღვდლოების წარმომადგენელია და 60 მორწმუნეებისა. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არაა, თავმჯდომარეს კრება თვითონვე ირჩევს სამღვდლო პირთა შორის. კრებავე ირჩევს საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, თუ ყველა წევრების  $\frac{2}{3}$  გამოცხადდება, ხოლო განმეორებითი მოწვევის შემდეგ კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების  $\frac{1}{3}$ -ისა. საეპარქიო კრება არის: ჩვეულებრივი — წელიწადში ერთჯერ და არა-ჩვეულებრივი — საქიროებისადაგვართ. — საეპარქიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდელმთავრისა, საკათალიკოსო და საეპარქიო საბჭოების წევრთა არჩევა და აგრეთვე არჩევა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის დელეგატებისა; ბ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ეპარქიაში.

§ 15. საეპარქიო საბჭო. საეპარქიო საბჭოს თავმჯდომარეობს ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. ეპისკოპოსს გარდა საეპარქიო საბჭოში შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენელია (ერთი მღვდლებისა და ერთი მედავითნეების) და 4 მორწმუნეთა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით. საქმის-მწარმოებელს საბჭოსათვის ნიშნავს საეპარქიო კრება. საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს 4 წევრისა. — საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) უმაღლესი ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-განმტკიცებაზე ეპარქიაში;



ბ) უმაღლესი თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგეობისა ეპარქიაში; გ) ეპარქიაში; დ) უმაღლესი საეკლესიო უწყობელად არ უნდა იხმარებოდეს; ე) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრება ან საოლქო საბჭო წარუდგენს; ვ) უმაღლესი სასულიერო სამართალი ეპარქიაში, უკეთუ ამ სამართალს მიმართავს ვინმე; ე) უმაღლესი მეუღალყურეობა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ვ) მის ნებადაურთველათ არავის შეუძლია ტაძრის ან მონასტრის შენება დაიწყოს; ზ) საბჭოს შეუძლია მღვდელს მღვდელ-მოქმედება აღუკრძალოს; ც) შეუძლია შეამციროს ან გააძლიეროს დადებული ეპიტიმია; უკანვე მიღოს ეკლესიიდან განკვეთილი წევრები; თ) იგი ამტკიცებს საეკლესიო მიზნით დაარსებულ საზოგადოებათა ანუ ძმობათა წესდებას; ი) შეუძლია მიიღოს და გაანაწილოს საეკლესიო საქირობათათვის კეთილმოარწმუნე ქრისტიანთაგან შეწირული ფული და უძრავ-მოდრავი ქონება; ია) დასასრულთ, მას აქვს უფლება აღსნას ქორწინების დროს ზოგიერთნი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაურ კავშირიდან გამომდინარებენ; აგრეთვე — ზოგიერთი აღთქმანიც, გარდა ბერობის აღთქმისა.

§ 16. ეპისკოპოსი: მისი უფლება და მოვალეობანი. ეპისკოპოსს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მთელს ეპარქიაში სწავლა-მოდგურების; ბ) უფლება ყოველგვარის მღვდელ-მოქმედების შესრულებისა; გ) უზენაესი ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში ყველა მოარწმუნენი საღს საეკლესიო სწავლას იცავდნენ; დ) სარწმუნოებრივს საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები და ე) მისს სახელს აღავლენს წირვა-ლოცვის დროს მთელი ეპარქიის სამღვდლოება. — ეპისკოპოსი ვალდებულია: ა) ყველაფერში ჰატივისა სტეიდეს ყველა საკლესიო დაწესებულებებს ეპარქიაში, რომელნიც კანონიერათ არიან დაარსებულნი, და იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულს დაწესებულებებს ექვემდებარება, მათი წესდების თანახმათ იქცეოდეს; ბ) დემორჩილოს საეკლესიო კანონებს და კანონიერათ გამოცემულს დადგენილებათ როგორც საეკლესიო მთავრობისას, ისე სამოქალაქოსას, რამოდენათაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი საეკლესიო მიზანს არ ეწინააღმდეგება; როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონის ან დადგენილების შესახებ აზრის ორქოფობა დაიბადება, განსამარტებლად უმაღლეს საეკლესიო მთავრობას უნდა მიმართოს; გ) განუწყვეტლივ თავის ეპარქიაში იმყოფებოდეს, ხოლო საკუთარ საქირობისათვის ეპარქიიდან წასვლა შეუძლია მხოლოდ სათანადო მთავრობის (საკათალიკოსო საბჭოს) თანხმობით; დ) თავისს სამღვდლოებასა და სამწყსოს ხშირ-ხშირათ უგზავნოს მოძღვრებითი ეპისტოლეები, რითაც ასწავლოს მათ ქრისტიანობრივი ქეშმარიტებანი და მათთან ცხოველი კავშირი იქონიოს; ე) მიმოიხილოს ხოლმე თავისი ეპარქია, რათა მის მდგომარეობას პირადათ გაეცნოს; ვ) ყველაფერში დემორჩილოს სრულიად სა-



ქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას; ზ) საეპარქიო საბჭოსთან ერთად მოახსენებდეს ხოლმე აღნიშნულს კრებას ყველა ღირს-შესანიშნავ შემთხვევათა შესახებ მის ეპარქიაში, აცნობდეს მას თვისის ეპარქიის მიმობილვის შედეგებსა და თანაც აღნიშნავდეს იმ ზომებს, რომელნიც საეკლესიო საქმეთა უკეთ მოსაწყობადაა საქარო; ც) როცა სათანადო მთავრობა მოიწვევს, სრულ. საქ. საეკლ. კრებაზე გამოცხადდეს; თ) უმაღლესი საეკლესიო მთავრობის უცოდინრათ არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემატება; ი) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოსის სახელს იხსენიებდეს; ია) სხვის ეპარქიაში თავის ნებით არა დაიწყოს-რა; იბ) დასასრულ, პატივისცემით ეპყრობოდეს სხვა მღვდელ-მთავრებისა და საეპარქიო საბჭოების ანუ საეპარქიო კრებების გარდაწყვეტილებას.

§ 17 ეპისკოპოსის აჩჩევა და ხელდასხმა. ეპისკოპოსს ირჩევს, კათალიკოსის ან მისი რწმუნებულის ხელმძღვანელობით, კრება ეპარქიის სამღვდლოების წარმომადგენლებისა რიცხვით 30 (20 სამღვდლო ხარისხის მქონეთა და 10 მედავითნეებისა) და მორწმუნეთა დელეგატებისა რიცხვით 60 (რომელთა შორის 5 საკათედრო ქალაქიდან); ხოლო ხელდასხმას კათალიკოსი და ორი ეპისკოპოსი ან მარტო ორი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის არჩევის დროს კრებას თავმჯდომარეობს ან თვით კათალიკოსი ან საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

**შენიშნვა.** აღნიშნული კრებისათვის დეპუტატების არჩევის დროს სამღვდლო ხარისხთა მექონი ბერები არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკვნები სამღვდლოებასთან ერთად ჰყრიან კენჭს, დანარჩენი ბერები კი—ერისკაცებთან ერთად. მეორე აზრი: არც ერთ ბერს, თუნდაც იგი სამღვდლო ხარისხითაც იყოს შემოსილი, უფლება არა აქვს საეპარქიო არჩევნებში ან საეკლესიო მართვა-გამგეობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან მას, თავისი აღთქმის თანხმად, ერთხელე უარი აქვს ნათქვამი საკუთარს ნება-სურვილზე და, სანამ იგი ბერად დარჩება, ამ აღთქმასაც ძალა არ დეკარგება.

## 3.

## საოლქო სამო კრება და საოლქო სამო საბჭო.

§ 18. საოლქო კრება და საოლქო საბჭო ორივე მარტო საკრებულო დაწესებულებაა. სამო საოლქო კრებაში თანასწორის ხმით მონაწილეობას იღებენ ოლქის ყველა კრებულთა წევრები (მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები). თავმჯდომარესა და საქმის მწარმოებელს კრება თვითონ ირჩევს. კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოს წევრებისა ბ) თავმჯდომარის არჩევა სამ-სამი წლით; ბ) სამო საბჭოს ყოველგვარი მოქმედების ანგარიშთა განხილვა; გ) სამო საბჭოს წევრების ან კრებულთა წევრების

უთანადო მოქმედების წინააღმდეგ აღძრული საქმეების განხილვა და განსამართლება; დ) ყოველგვარი საძმო საქმეები.

§ 19. **საძმო საოლქო საბჭო** შესდგება თავმჯდომარისა და 4-ის წევრისაგან (რომელთა შორის 2 მღვდლების წარმომადგენელია მთავრებითურთ და 2 მედავითნეებისა); თავმჯდომარედ უსათუოთ მღვდელი უნდა იქნას.

**შენიშვნა.** საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სამღვდლო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატის გამოცდა (მარტო ღვთის-მსახურებისა და მღვდელ-მოქმედების ცოდნაში) და სათანადო მოწმობის მიცემა; ბ) ხელმძღვანელობა სამრევლო კრებათა, როცა ეს უკანასკნელნი კრებულის წევრებს ირჩევენ; გ) სამრევლო კრებულთა წევრებს შორის მომხდარ უთანხმოების განხილვა და გადაწყვეტა; დ) ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-გაძლიერებაზე ოლქში; ე) გამგეობა საოლქო საძმო წიგნთსაცავ-სამკითხველოსი და მასზე ზრუნვა; ვ) გამგეობა საძმო კასისა; ზ) მოწვევა საძმო საოლქო კრებისა (2-ჯერ მაინც წელიწადში, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირად); კრება უნდა მოწვეულ-იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 5-ს საკრებულო პირისა; ც) დასასრულ, ზრუნვა ოლქის სამღვდლოების გაქირვებულ წევრთა, ქვრივთა და ობლებზე.

#### 4.

**მრევლი, სამრევლო კრება, სამრევლო საბჭო და კრებულები.**

§ 20. **მრევლი.** სამრევლოს გახსნა არ შეიძლება, თუ მორწმუნეთა რიცხვი იმდენათ მცირეა, რომ საკუთარი ტაძრისა და კრებულის შენახვა არ შეუძლია. სამრევლოს უსათუოთ უნდა ჰქონდეს საკუთარი ტაძარი; ხოლო თუ ამავე სამრევლოში სხვა ტაძრებიცაა, იგინი ზედ-მიწერილ ტაძრებად ითვლებიან.

**შენიშვნა.** მრევლი, როგორც ერთის მიზნით და განსაზღვრული წყობილებით შეერთებული საზოგადოება, იურიდიულს პირს წარმოადგენს.

§ 21. **სამრევლო კრება.** სამრევლო კრებას შეადგენს ყველა სრულწლოვანი მორწმუნე კაცი და ქალი (არა უმცირეს 21-ს წლისა).

**შენიშვნა.** ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს როგორც სხვა აირჩიოს ყოველგვარ საეკლესიო თანამდებობაზე, ისე თვითონაც არჩეულ-იქნას დელეგატად და საბჭოს წევრად.

კრება თვითონვე ირჩევს თავმჯდომარეს და, თუ საჭიროა, საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, უკეთუ მასზე მრევლის (სრულწლოვანები იგულისხმებიან) <sup>2/3</sup> მაინც გამოცხადდება; ხოლო, თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორეთ იგი კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება არა

უმცირეს მრევლის  $\frac{1}{4}$ -სა. აჩვენების დღეს საჭიროა კრებაზე მრევლის  $\frac{1}{4}$  გამოცხადდეს და არჩეულადაც მხოლოდ ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელსაც ერგება არა უმცირეს ყველა კენჭების  $\frac{1}{4}$ -ისა (თუ საჭიროება მოითხოვს, განმეორებითი კენჭის ყრაც შესაძლებელია; კენჭი ეყრება ორს უკანასკნელ კანდიდატს, რომელთაც ყველა კანდიდატებზე მეტი კენჭი ერგო პირველი კენჭის ყრის დროს). ჩვეულებრივს საქმეებს კი კრება სწყვეტს ხმის უბრალო უმეტესობით. ამავე წეს-რიგს ემორჩილება ყველა სხვა საეკლესიო კრებებიც (საოლქო, საეპარქიო და სრულიად საქართველოსი). სამრევლო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) კრებულის და საბჭოს წევრთა არჩევა; ბ) ეკლესიისა და კრებულის შესანახ ხარჯის მორწმუნეთა შორის შეძლებისადაგვარად გაწერა; გ) სარწმუნოებრივ და ზნეობრივ დანაშაულთათვის მრევლის წევრთა (==მორწმუნეთა) გასამართლება; დ) გასამართლება და სამართალში მიცემა სამრევლო საბჭოს წევრებისა სამსახურის აღსრულების დროს დაუდევრობისა, უფლების აღმატებისა და ბოროტ-მოქმედებისათვის; ე) აღძვრა საქმისა საოლქო ანუ საეპარქიო საბჭოებისა გინდ კრებათა წინაშე კრებულის წევრთა შესახებ მათი უთანადო მოქმედებისა და ცუდი ყოფა-ქცევისათვის.

§ 22. **სამრევლო საბჭო.** სამრევლო საბჭო შესდგება 5-ს წევრისაგან, რომელთაც სამრევლო კრება ირჩევს ერთის წლის ვადით; თავმჯდომარეს ირჩევენ თვის შორის თვითონ საბჭოს წევრები

**შენიშვნა.** საბჭოს წევრებად მრევლს შეუძლია კრებულის წევრიც აირჩიოს; ყოველს შემთხვევაში, კრებულის წევრთ სამრევლო საბჭოში სათათბირო ხმა მიიღოს უსათუთო ეკუთვნისთ; კერძოდ მღვდელი ამ საბჭოს ხელმძღვანელად ითვლება.—საბჭოს აქვს საკუთარი ბუქელი.

სამრევლო საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საეკლესიო უძრავ-მოძრავ ქონების მართვა-გამგეობა სამრევლოში; ბ) ყოველგვარი სტატისტიკური ცნობების შეკრება, რასაც კი სამრევლოს მართვა-გამგეობისათვის აქვს რაიმე მნიშვნელობა; გ) აკრეფა საეკლესიო გადასახადისა მრევლში და მისი დანიშნულებისამებრ განკარგულება; დ) ზრუნვა ტაძრისა და ღვთისმსახურების კეთილ-მოწყობაზე; ე) ზრუნვა ქვრივ-ობლებსა და ღარიბებზე საქველ-მოქმედო აზრით; ვ) აღძვრა საქმისა იმ პირთ წინააღმდეგ, რომელნიც ეკლესიასა და მორწმუნეთა სარწმუნოებრივს გრძნობას შელახვენ; ზ) მოწვევა სამრევლო კრებისა.

**შენიშვნა.** სამრევლო კრება უნდა მოწვეულ იქმნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 20 მორწმუნისა.

§ 23. **კრებულა.** კრებულს შეადგენენ: მღვდელი, დიაკონი (უკეთუ იგი არის) და მეღვინე.

ა) **მღვდელი.** მისი მოვალეობანი. მღვდელი ვალდებულია: აა) მუდამ თავის მრევლში იცხოვროს და, სამრევლო საბჭოს ნებადაურთველათ, უფლებ-

ბა არა აქვს მრევლი დასტოვოს, განსაკუთრებით როცა იქ რაიმე მთავარი სენი გაჩნდება ან როდესაც სამრევლოს განსაცდელი რამ მოეწიოს; ბბ) განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდეს საკუთარს ყოფაქცევას როგორც საზოგადოებაში, ისე თავის სახლში; გგ) აასრულოს საზოგადოებრივი ღვთისმსახურებანი საეკლესიო ტიპიკონით დაწესებულ დროებში; დდ) თავისი მრევლის მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ აასრულოს საჭირო მღვდელ-მოქმედებანი; ეე) თვალყური ადევნოს ტაძრისა და საღვთისმსახურო საგნების სისუფთავესა და კეთილშეგნებებს; ვვ) თვალყური ადევნოს მრევლში საეკლესიო დისციპლინისა და ზნეობის დაცვას; ზზ) როცა სამსახურის დროს ამა თუ იმ საკითხის შესახებ რაიმე ეჭვი დაებადება, მოვალეა ახსნა-განმარტებისათვის საოლქო ან საეპარქიო საბჭოს მიმართოს; ცც) მისს უპირველეს მოვალეობას შეადგენს ეკლესიაში ქადაგება და საზოგადოთ სწავლა-მოძღვრება; თუ ამ მხრივ იგი ზარმაცი ან დაუდევარია, სამსახურიდან დათხოვნილ იქნება; და-სასრულ, იგი მოვალეა ღვთისმსახურების დროს თავისი ეპისკოპოსის სახელი მოიხსენიოს.—თავის მრევლში მღვდელს უფლება აქვს, სხვა მღვდლებს რომლისაზე მღვდელ-მოქმედების შესრულების ნება არ მისცეს.

ბ) დააკანა (=მთავარი) ღა შედავითნე. მთავარი და მედავითნე არიან მხოლოდ მღვდლის თანაშენწენი და უმისოდ არავითარი მღვდელ-მოქმედების შესრულება არ შეუძლიათ. ერთ მღვდელთან უსათუოდ ერთი მედავითნეც უნდა იყოს; ხოლო, რომელ მრევლშიაც ორი ან მეტი მღვდელია, იმ მრევლს, თუ ჰსურს, მთავარიც შეუძლია იყოლიოს.

გ) კრებულის წევრთა თვისებათა. აა) წლოვანებით სამღვდლო კანდიდატი უნდა იყოს არა უმცირეს ოცის წლისა; მეორე აზრად: არა უმცირეს—25-ის წლისა. ბბ) განუბრავს მხრით საჭიროა სამღვდლო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატს საშუალო საზოგადო განათლება ჰქონდეს მიღებული, მაგრამ დროებით, სანამ ასეთი კანდიდატის შოვნა გასაჭირია, შესაძლოა საკრებულო წევრთა კანდიდატად წამოყენებულ იქნას ისეთი პირიც, რომელსაც მიღებული აქვს არა უმცირეს დაბალის საზოგადო განათლებისა (მაგალითად: პროგიმნაზიისა, ოთხ-კლასიან სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებელთა კურსისა); ამასთანავე როგორც სამღვდლო, ისე სამთავრო და სამედავითნო კანდიდატმა უნდა იცოდეს წირვა-ლოცვისა და მღვდელ-მოქმედების წესები, რაც წინდაწინვე (არჩევამდე) უნდა იყოს შემოწმებული რომლისაზე საოლქო საბჭოსაგან; ამგვარათ შემოწმებულ კანდიდატების სიები საჭიროა საეპარქიო საბჭოშიაც ინახებოდეს; გგ) კანდიდატის ზნეობრივ თვისებათა გარკვევა და გამოცნობა თვით ამომრჩეველთა ნდობისა და სინიდისის საქმეა.

დ) კრებულის წევრთა აჩქეგა. კრებულის წევრებს ირჩევს სამრევლო კრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევს საოლქო საბჭო

ან, მისივე მინდობილობით, ერთ-ერთი მისი წევრი. არჩევის შემდეგ, საოლქო საბჭოს წარმომადგენელი შეადგენს საარჩევნო სიგელს და სამღვდლო და სამთავრო კანდიდატს წარუდგენს ეპისკოპოსს საკურთხად, ხოლო მედავითნეს — დასამტკიცებლად.

**შენიშნვა.** საკათედრო კრებულის მდგომარეობისა და რაოდენობის გარკვევა უნდა გადაიდგას საკათალიკოსო საბჭოს არჩევამდე.

### III.

#### ეკლესიის ძონებრივი უფლებანი და სამღვდლოების რჩენის წესი.

§ 24. ეკლესიას ქონებრივი უფლებანი. როგორც იურიდიულს პირს, მრევლსა და სრულიად საქართველოს ეკლესიას უფლება აქვს სარწმუნოებრივისა და საქველ-მოქმედო მიზნით რაიმე ქონება შეიძინოს (როგორც ყიდვით, ისე ანდერძით და შემოწირვით).

§ 25. სამღვდლოების რჩენის წესი. აუცილებლათ საქირთა შეიცვალოს არსებული წესი სამღვდლოების რჩენა-შენახვისა. დღევანდელი სამღვდლოება ჯამაგირს იღებს ხაზინიდან, ხოლო საზრდოსა და წვრილ-წვრილ შემოსავალს — ხალხისაგან. აქედან წარმოსდგება თვით სამღვდლოების მდგომარეობის ორქოფობა; იგი არც მთლათ ხალხს ეკუთვნის და არც მთლათ მთავრობას, რაიცა ჰქმნის მრევლისა და სამღვდლოების გამწვავებულს ურთიერთობას. რომ ეს უხერხული მდგომარეობა მოისპოს და სამღვდლოება მარტო მორწმუნეებს ეკუთვნოდეს, საქირთა სამღვდლოებას ინახავდეს მარტო ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლი ანუ მორწმუნეები. მაშასადამე, პრინციპიალურათ, საქირთა მრევლმა ზიდაზიდა თვითონ უზრუნველ-ჰყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ — თავისი სამღვდლოება.

§ 26. მაგრამ, სანამ ის საეკლესიო ქონებანი, რომელნიც ხაზინის ხელში გადავიდა და დღესაც ხაზინის ხელში იმყოფება, ქართველ ხალხს არ დაუბრუნდება და სანამ იმ საეკლესიო ქონებათა ღირებულება, რომელნიც კერძო პირთა ხელშია გადასული, მომავალს საკათალიკოსო საბჭოს არ გადაეცემა საქართველოს ეკლესიის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე, სანამ ის ჯამი, რომელიც დღეს ქართველ სამღვდლოებას ხაზინიდან ჯამაგირად ეძლევა, ხალხის სახელმწიფო გადასახადს არ ჩამოაკლდება, მანამდე ქართველი სამღვდლოება მარტო ხალხს ვერ დააწვება სარჩენად; ამიტომ, სანამ რუსეთის ან კერძოდ კავკასიის წარმომადგენლობითი კრება სამღვდლოების რჩენის საკითხს გადაწყვეტდეს, სახელმწიფო ვალდებულია ქართველ სამღვდლოებას ჯამაგირი აძლიოს; ხოლო მრევლმა იმდენი მისცეს, რამდენიც მის არსებობას უზრუნველ-ჰყოს.

# ОБЪЯВЛЕНІЯ.

Съ Марта 1906 года въ Баку будетъ выходить

**ЕЖЕНЕДѢЛЬНО**

*иллюстрированный журналъ*

## Кавказъ и Средняя Азія

въ фотографіяхъ и описаніяхъ

**ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:**

- 1) Недѣльная хроника „Кавказа и Средней Азіи“ съ иллюстраціями.
- 2) Картины Кавказа и Средней Азіи и портреты общественныхъ деятелей современныхъ и бывшихъ съ описаніями.
- 3) Очерки природы Кавказа и Средней Азіи.
- 4) географическіе, этнографическіе, археологическіе, историческіе и промышленно экономическіе очерки русскихъ владѣній въ Азіи и въ сопредѣльныхъ съ нею странахъ.
- 5) Критика и библіографія.
- 6) Объявленія.

При каждомъ № журнала будетъ приложеніе по одной фототипной картинѣ на картонѣ изъ серіи альбома „Военно-Грузинская дорога“. а въ августъ и декабрѣ по художественной обложкѣ, что составитъ цѣнную премію.

Подписная цѣна: на 1 г. съ доставк. и перес.—7 р.;  $\frac{1}{2}$  г.—4 р.;  $\frac{1}{4}$  г.—2 р. 25 к. Отдѣльный № 20 к.

Подписка принимается въ Баку, въ конторѣ редакціи, Телефонная, № 12.

Редакторъ-Издатель А. М. Мишонъ.

Редакція убѣдительно проситъ любителей фотографіи доставлять ей ихъ снимки, относящіеся къ Кавказу и Средней Азіи; снимки эти могутъ принести огромную пользу при изученіи края, тогда какъ, въ большинствѣ случаевъ, они гибнутъ непроизводительно и для общества, и для автора.

Открыта подписка на 1906—XVII годъ изданія

(подписной годъ начинается съ 1-го ноября).

Вышедшіе №№ и приложения высылаются немедленно,

## ПРИРОДА И ЛЮДИ

**52** №№ художественно-литературнаго журнала, въ которыхъ читатель найдетъ все, необходимое въ настоящее время каждому слѣдующему за всемірнымъ прогрессомъ.

**40** **Т О М О В Ъ** *П О Л Н А Г О* собранія сочиненій (Первое полное издание на русскомъ языкѣ) свыше 6,500 стр.

### Ж Ю Л Я В Е Р Н Я.

*Вся романы переведены полностью, безъ пропусковъ.*

Это громадное изданіе невозможно дать сразу въ одинъ годъ. Оно заключаетъ болѣе 80 томовъ, т. е. свыше 13000 страницъ. Въ 1906 году будутъ даны первые 40 томовъ, стоимость которыхъ въ отдѣльной продажѣ свыше 50 руб., остальные въ слѣдующемъ году.

КРОМЪ ТОГО РОСКОШНОЕ ИЗДАНИЕ

## СВѢТОЧИ РУССКАГО САМОСОЗНАНІЯ

на пути къ свободѣ.

Долгъ каждаго гражданина знать тѣхъ людей, которые отдали всю свою жизнь служенію правдѣ, добру и свободѣ для счастья своей родины; знать и свято чтить память о нихъ и объ ихъ дѣяніяхъ. *Въ этомъ изданіи будетъ помѣщенъ рядъ превосходно исполненныхъ портретовъ этихъ свѣточей русскаго самосознанія, начиная отъ А. Н. Радичева и кончая Н. К. Михайловскимъ и кн. С. Н. Трубецкимъ, умершимъ на зарѣ нашей обновляемой жизни, съ ихъ автографами, подробными біографіями и яркими характеристиками ихъ дѣятельности.*

И НАКОНЕЦЪ, ПРАВО НА ПОЛУЧЕНИЕ

новой, ЕЖЕДНЕВНОЙ политической и литературной ГАЗЕТЫ

## „ОБНОВЛЕННАЯ РОССІЯ“

*органъ прогрессивной мысли.*

За уменьшенную плату 2 руб. 60 коп. въ годъ.

Газета высылается со дня полученія денегъ (№ 1 выйдетъ 15 ноября).

**Подписная цѣна:** на журналъ „Природа и Люди“ со всѣми прилож. за годъ съ доставкой и пересылкой по всей Россіи **6 руб.** Въмѣстѣ съ газетой „Обновленная Россія“ **8 руб 60 коп.** Допускается разсрочка: безъ газеты при подпискѣ 2 р., съ газетой при подпискѣ 4 р. 60 к.

Подписка принимается въ главной конторѣ „Природа и Люди“. С.-Петербургъ, Стремянная 12, собств. д. Изд. П. П. Сойкинъ.

# „АМЕРИКАНСКІЙ ПРАВОСЛАВНЫЙ ВѢСТНИКЪ“

## И „АНГЛІЙСКІЯ ПРИЛОЖЕНІЯ“

(*Органъ Православной Американской Миссіи*)

въ 1906 году.

**Условія подписки:** Одно русское изданіе „Американскаго Православнаго Вѣстника“ два долл. или четыре руб. „Англійскія Приложенія“ къ Амер. Прав. Вѣстнику (ежемесячно, книжками отъ 32 стр.) 1 долл. 50 п. или три рубля. „Амер. Прав. Вѣстникъ“ съ Англійскими приложеніями: три долл. или шесть рублей.

Адресъ: Rev. а. а. Hotovitzky 15 E. 97 th stc. New York City.

**Содержаніе № 3.** *Часть оффиціальная:* О выборахъ въ Государственную Думу на Кавказѣ.—Указъ Святѣйшаго Синода.—Распоряженіе Высокопреосвященнѣйшаго Николая Экзарха Грузіи.—Распоряженія Грузинскаго Епархіальнаго Начальства.—Распоряженіе Высокопреосв. Экзарха Грузіи.—Распоряженія Гурийско-Мингрельскаго Епархіальнаго Начальства.—Отъ редакціи „Правительственнаго Вѣстника“. *Часть неоффиціальная:* Жизнь человѣческая, *Иосифъ Балувъ.*—Краткій очеркъ церковно-исторической жизни Грузіи отъ появленія въ ней христіанства и до нашихъ дней, Свящ. *Н. Покровскій.*—Отъ редакціи.—Объявленія.

### ქართული სარჩევი:

**ქართული განყოფილება.** სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების წესები კავკასიისათვის.—17 ოქტომბერი და ჩვენი ეკლესია. მიუღმომღიბა.—საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი.

Исп. об. редактора, свящ. *Н. Покровскій.*